

## საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დოქტორანტურის გზამკვლევი

მადლობა, რომ დაინტერესდით ჩვენი უნივერსიტეტის დოქტორანტურით. ქვემოთ  
თქვენ გაეცნობით, რას გთავაზობთ და რა უნდა გააკეთოთ, რომ ჩვენი  
უნივერსიტეტის დოქტორი გახდეთ.

### • როგორ დავიწყო სწავლა დოქტორანტურაში?

- ✓ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხვის ორი  
გზა არსებობს - მიღება და მობილობა.
- ✓ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღებას და  
მობილობას აცხადებს სადისერტაციო საბჭო. ამ მიზნით, სადისერტაციო საბჭო  
ქმნის მისაღებ კომისიას. გთხოვთ, ადევნოთ თვალი ჩვენს ვებგვერდს  
(<http://agruni.edu.ge/ge>).
- ✓ დოქტორანტურაში სწავლისათვის, საჭიროა გქონდეთ აკრედიტებული  
სასწავლებლის მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი.
- ✓ თუ აღნიშნული ხარისხი უცხოური უმაღლესი დაწესებულების მიერ  
მოგენიჭათ, მაშინ ჯერ უნდა მიმართოთ განათლების ხარისხის განვითარების  
ცენტრს (იხ. <http://eqe.ge/geo/service/recognition>)

### • დოქტორანტურაში მიღება

- ✓ დოქტორანტურაში მისაღებ კონკურსში მონაწილეობისთვის უნდა  
წარმოადგინოთ შემდეგი საბუთები:
  - შევსებული სააპლიკაციო ფორმა (ივსება ელექტრონულად);
  - CV
  - პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი
  - ელექტრონული ფოტოსურათი ზომით 3X4 სმ
  - მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის  
დამადასტურებელი დიპლომის ასლი
  - სამოტივაციო წერილი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1250 სიტყვას  
და უნდა მოიცავდეს: კვლევის საგანს; საკვლევი თემის აღწერას და  
საკვლევი საკითხის მნიშვნელობის დასაბუთებას; სამეცნიერო  
მეთოდოლოგიის აღწერას.
  - ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი  
საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი (ასეთის არსებობს  
შემთხვევაში). ვისაც მსგავსი დოკუმენტი არ გაქვთ ან დოკუმენტს ვადა  
გაუვიდა, მოგიწევთ გაიაროთ ტესტირება ინგლისურ ენაში (იხ.  
ქვემოთ).

ყურადღება მიაქციეთ, რომ აღნიშნული დოკუმენტები უნდა წარმოადგინოთ  
ელექტრონულ ფორმატში. ამისთვის, უნდა ჩამოტვირთოთ აპლიკაცია, PDF-ის

ერთ ფაილში აკინძოთ ყველა საკითხი და გამოაგზავნოთ მისამართზე (phd.application@agruni.edu.ge).

- ✓ დოქტორანტურაში მისაღები პროცედურები ორი ნაწილისგან შედგება:
  - ტესტირება ინგლისურ ენაში, რომლის მიზანია კანდიდატის მიერ ინგლისური ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის შემოწმება.
  - ტესტირების წარმატებით გავლის შემდეგ, თქვენ გაივლით გასაუბრებას. გასაუბრების მიზანია, უნივერსიტეტი გაეცნოს თქვენს აკადემიურ მიღწევებს, არჩეული სფეროს შესახებ ცოდნას და მოტივაციას.
- ✓ ამის შემდეგ, უნივერსიტეტი გაცნობებთ დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ და დაგიბარებთ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

#### • დოქტორანტურაში მობილობა

- ✓ დოქტორანტურაში მობილობა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. დეტალებს შეგიძლია გაეცნოთ <http://eqe.ge/geo/mobility>
- ✓ მობილობის გამოცხადების შემთხვევაშიც, უნივერსიტეტს საბუთები უნდა წარუდგინოთ იგივე სქემით, როგორც დოქტორანტურაში მიღების შემთხვევაში და გაიაროთ გასაუბრება.

#### • სწავლა, სწავლება და კვლევა დოქტორანტურაში

- ✓ ჩვენი დოქტორანტები არა მხოლოდ სწავლობენ სადოქტორო პროგრამებში, არამედ უშუალოდ არიან ჩართული უნივერსიტეტში მიმდინარე სწავლების პროცესში და კვლევებში.
- ✓ თითოეული სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვით.
- ✓ დოქტორანტურაში სწავლისას თქვენ უნდა დააგროვოთ სულ 180 კრედიტი, საიდანაც არანაკლებ 135 კრედიტი უნდა ეთმობოდეს კვლევით კომპონენტს, ანუ თქვენს დისერტაციას, ხოლო სასწავლო კომპონენტს (რომელიც ასევე სასწავლო პროცესში მონაწილეობას - აკადემიური პერსონალის ასისტირებას - მოიცავს) - 45 კრედიტი.
- პირველი სემესტრის განმავლობაში თქვენ შეარჩევთ **სამეცნიერო ხელმძღვანელს**, რომელიც დაგეხმარებათ კვლევისა და სასწავლო პროცესის შემდგომ დაგეგმვაში. თქვენი ხელმძღვანელი შეიძლება გახდეს როგორც ჩვენი უნივერსიტეტის რომელიმე პროფესორი, ასევე სხვა წამყვანი ქართული და უცხოური უმაღლესი დაწესებულებების აკადემიური პერსონალი. ჩვენ უკვე გვაქვს გაფორმებული შეთანხმებები სხვადასხვა სკოლებთან და პროფესორებთან.
- ✓ რეკომენდებულია სასწავლო კურსები ძირითადად პირველი წლის მანძილზე გაიაროთ, ამის შესახებ, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ თქვენს ხელმძღვანელთან და სადოქტორო სკოლის ადმინისტრაციასთან. მათთან ერთად, დოქტორანტურაში სწავლის დაწყებიდან ერთი სემესტრის განმავლობაში თქვენ შეადგენთ **ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმას**, რომელშიც მოცემული იქნება სასწავლო კომპონენტების შესრულებისა და კვლევის სავარაუდო გრაფიკი. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობაა 3 წელია. ეს დრო შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ

სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სამეცნიერო ხელმძღვანელისა და დოქტორანტის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე.

- **დისერტაციის დაცვა**

- ✓ დისერტაციაში ასახული უნდა იყოს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებული შედეგები.
- ✓ დასრულებული დისერტაციის სამი ბეჭდური და ერთი ელექტრონული ვერსია უნდა წარუდგინოთ სადისერტაციო საბჭოს.
- ✓ სადისერტაციო საბჭო დისერტაციას დაუნიშნავს რეცენზენტებს, ხოლო მათგან დადებითი პასუხის შემთხვევაში, დანიშნავს დისერტაციის დაცვის დღეს.
- ✓ დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ, თქვენ მოგენიჭებათ დოქტორის აკადემიური ხარისხი და გადმოგეცემათ შესაბამისი დიპლომი.

- **დაფინანსება**

- ✓ აგრარული უნივერსიტეტის დოქტორანტურაში გადასახდელი თანხა დამოკიდებულია თქვენს ჩართულობაზე უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესში. თუ თქვენ ღრმად იქნებით ჩართული, ფაქტობრივად გადასახდელი თანხა ნულის ტოლი იქნება ან თქვენ მიიღებთ ანაზღაურებას.
- ✓ აგრარული უნივერსიტეტში დოქტორანტურის ერთი სემესტრის ოფიციალური ღირებულებაა 1 590 ლარი.
- ✓ აგრარული უნივერსიტეტში დოქტორანტურაში ჩვენ ვზრდით ახალ აკადემიურ თაობას, მათ შორის ჩვენი უნივერსიტეტისთვის. ამდენად, დოქტორანტურაში სწავლის ღირებულების დაფინანსება კომპლექსურია და ამისთვის სხვადასხვა წყარო შეიძლება გამოიყენებოდეს - უნივერსიტეტის სასწავლო და ადმინისტრირების პროცესში მონაწილეობა, საპროექტო გრანტები და სასწავლო გადასახადი.

- **დაგვიკავშირდით**

აგრარული უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლა  
phd@agruni.edu.ge

გისურვებთ წარმატებებს!